ავტორი: *რუსუდან თედორაძე*

ურთიერთსწავლების სტრატეგიის გამოყენება ბუნებისმეტყველების გაკვეთილზე

სამიზნე აუდიტორია: ***ბუნებისმეტყველების მასწავლებლები***

საგანი: ბუნებისმეტყველება

ურთიერთსწავლების მეთოდი არის ეფექტური განსაკუთრებით დაწყებით კლასებში, სხვადასხვა სახის ტექსტზე მუშაობისას, ასევე შეგვიძლია წარმატებულად გამოვიყენოთ ბუნებისმეტყველების გაკვეთილზეც. მნიშვნელოვანია, რომ ამ მეთოდის გამოყენებისას საკითხის განხილვა მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის, მიმდინარეობს დიალოგის ფორმატში, სხვადასხვა კოგნიტური (სააზროვნო) და მეტაკოგნიტური (დაკვირვება საკუთარი აზროვნების პროცესზე) აქტივობების გამოყენებით.

წინამდებარე გზამკვლევი დაეხმარება ბუნებისმეტყველების მასწავლებლებს გაამრავალფეროვნოს საგაკვეთილო პროცესი

სამუშაო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით გაკვეთილების მოდელირება ადვილი საქმე არ არის, მაგრამ დღეს ეს დროის მოთხოვნაა. მასწავლებელმა დაწყებით კლასებშივე უნდა გამოიყენოს გაკვეთილზე სწავლების სხვადასხვა სტრატეგია, რათა მოსწავლეებს ჩამოუყალიბოს სწავლისა და თვითგანვითარების უნარი.

შემოგთავაზებთ ურთიერთსწავლების სტრატეგიის გამოყენების მაგალითებს 1-4 კლასების მოსწავლეებისათვის, რომელიც შეუძლია მასწავლებელმა გამოიყენოს საგაკვეთილო პროცესის გასამრავალფეროვნებლად.

ურთიერთსწავლება - ეს მეთოდი არის ეფექტური განსაკუთრებით დაწყებით კლასებში, სხვადასხვა სახის ტექსტზე მუშაობისას, ასევე შეგვიძლია წარმატებულად გამოვიყენოთ ბუნებისმეტყველების გაკვეთილზეც. მნიშვნელოვანია, რომ ამ მეთოდის გამოყენების დროს საკითხის განხილვა მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის, დიალოგის ფორმატში მიმდინარეობს, სხვადასხვა კოგნიტური (სააზროვნო) და მეტაკოგნიტური (დაკვირვება საკუთარი აზროვნების პროცესზე) აქტივობების გამოყენებით.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ მუშაობის ამგვარი ფრომა „იძულებულს“ ხდის ჯგუფის თითოეულ წევრს, აქტიურად ჩაერთოს პროცესში და თამამად გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები. გარდა ამისა, ხელს უწყობს სხვადასხვაგვარი უნარის მქონე მოსწავლეთა ურთიერთთანამშრომლობას.

განვიხილოთ ერთი მაგალითი

თემა „ზამთარი“,

ინტერაქტიული ურთიერთსწავლების ტექნოლოგია დაეხმარება მოსწავლეებს შესწავლილი მასალის გაძეორებასა და სისტემატიზაციაში.

მასწავლებელს შედგენილი აქვს ხუთი სახის დიდაქტიკური ბარათი, რომლებიც ეძღვნება ზამთარში ბუნების ძირითად ცვლილებებს. მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ბარათებს და აძლევს ინსტრუქციას. კერძოდ, თითოეული მოსწავლე ინდივიდუალურად მუშაობს მასალაზე, (ერთ-ერთ ბარათზე, მხოლოდ ერთ თემაზე), ხოლო შემდეგ კი იმუშავებენ წყვილებში, გააცნობენ ერთმანეთს თავის თემას და მოახდენენ ინფორმაციის შევსება/გამთლიანებას. აუცილებელი პირობაა, რომ მოსწავლეებმა როგორც ინდივიდუალურ ისე წყვილებში მუშაობის დროს პასუხები უნდა წერილობითი ფორმით ჩაინიშნონ (ჩაწერონ).

ბარათების შინაარსი შეიძლება იყოს:

1. როგორ შეიცვალა ბუნება ზამთრის დადგომასთან ერთად? (აცივდა, ცივი ქარი უბერავს, თოვს, დღე შემცირდა, მდინარეებსა და ტბორებში წყალი გაიყინა).

2. რა ცვლილებებს განიცდის მცენარეები ზამთარში? (მცენარეებს ფოთლები სცვივა, ბალახი გამხმარია და თოვლითაა დაფარული, მხოლოდ წიწვოვანი ხეებია მწვანე.)

3. რომელი ჩიტები დარჩნენ ჩვენთან ზამთარში? (ბეღურა, კოდალა, ყვავი, მტრედი, კაჭკაჭი, შაშვი და სხვა.)

4. როგორ ცხოვრობენ ფრინველები ზამთარში? (ფრინველებს უჭირთ, მწერები აღარ არიან ზამთარში, ხილი, კენკრა, ბალახის თესლი - თოვლის ქვეშაა მოქცეული. ჩიტები ზამთარში ცოტა საკვებს პოულობენ. დილიდან საღამომდე ეძებენ საკვების ნაცეცებს. ჩიტებს ცივა, მათ თბილი ბუმბული კი იცავს სიცივისგან, მაგრამ შიმშილისგან ვერა.)

5. როგორ შეგვიძლია ფრინველების დახმარება ზამთრში? (გავუკეთოთ საკვებურები, დავუყაროთ თესლები, ხორბალი, ფეტვი, პურის ნამცეცები და სხვა.)

მას შემდგომ, რაც მოსწავლემ იმუშავა მასალაზე, ის მეწყვილესთან ერთად განიხილავს თავის თემას და ამთლიანებს მეწყვილის მოსაზრებების შეჯერების შემდგომ. ასევე ხდება მეწყვილის თემის განხილვა და გამთლიანება და ასე გრძელდება წრეზე ყოველი საკითხის ამოწურვამდე.

მუშაობის პროცესში მოსწავლეებმა მოკლედ ჩაწერენ ინფორმაციას ზამთარში ბუნების ცვლილებების შესახებ. ამიტომ, მუშაობის დასასრულს თითოეულ ბავშვს უკვე ექნება სრულად შევსებული ბარათი თემაზე „ზამთარი“.

იმის გასაგებად, თუ რამდენად კარგად გაიგეს მოსწავლეებმა საკითხი, შესაჯამებლად შეიძლება გამოყენებული იქნას ჯგუფური მუშაობის ფორმა.

მასწავლებელი გაკვეთილის დაწყებამდე ისე ანაწილებს მერხებს,რომ თითოეული ჯგუფი იზოლირებული იყოს სხვებისაგან. მაგიდებზე წინასწარ არის დალაგებული ტრაფარეტები მოსწავლეთა სახელებით (ეს საშუალებას აძლევს მასწავლებელს მოსწავლეები დააჯგუფოს საჭიროებებიდან გამომდინარე) თითოეული ჯგუფისთვის მზადდება ამოცანები და გარკვეული ფერის ფერადი ქაღალდის ფურცლები (თითოეულ ჯგუფს აქვს საკუთარი ფერი). თითოეულ ჯგუფს აქვს დავალება, რომელიც შეესაბამება გაკვეთილის თემას და სხვადასხვა სირთულის დონეს. სამუშაოს შესასრულებლად ეძლევათ დრო და ჯგუფები ამზადებენ პრეზენტაციას, დროის ამოწურვისა და პრეზენტაციის წარდგენის შემდგომ თითოეული ჯგუფის მუშაობის შედეგები თავსდება საერთო დიდ ფურცელზე - თემის სახელწოდების ქვეშ.

<u>საკითხები და სიტუაციური ამოცანები შეიძლება იყოს:</u>

<u>შესწავლილი მასალის საფუძველზე გაარკვიეთ:</u>

- ფრინველებისათვის რა საკვებია თოვლზე და რა თოვლის ქვეშ;
- არის თუ არა საკვები ფოთლოვან და წიწვოვან ხეებზე, ბუჩქებზე;
- როგორ დავეხმაროთ ფრინველებს საკვების მოპოვებაში.

შექმენით საინფორმაციო ბუკლეტი, "ზამთარში ფრინველების საკვების წყარო", ინფორმაცია დააჯგუფეთ ფრინველთა კვების წყარო საკვების ტიპის მიხედვით:

1. ხილი და თესლი

2. საკვებურები

<u>დააჯგუფეთ ფაქტები თემაზე "რისთვის არის საჭირო თოვლი"</u>

- ათბობს დედამიწას;
- ნიღბავს გარემოს ;
- საკვებს აწვდის (ბალახი, თესლი, ფესვები თოვლის ქვეშ) და სხვა.

განხილული ფორმით საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებამ შესაძლებელი გახადა მასალის კონსოლიდაცია, მთავარის გამოკვეთა. სრულფასოვანი დიალოგის ფორმატი "მასწავლებელი - მოსწავლე", "მოსწავლე - მოსწავლე", "მასწავლებელი - ჯგუფი" კი ხელს უწყობს მოსწავლეებმა გააცნობიერონ, რომ ყველას აქვს საკუთარი აზრი და მნიშვნელოვანია სხვისი აზრის პატივისცემა.